



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000019342123920

№ ს-2162

07 / სექტემბერი / 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 თებერვლის #ს-413 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თამუნა კიკილაშვილის 2020 წლის 07 სექტემბრის #1946 განმარტებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება, „მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 თებერვლის #ს-413 ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში კომისიის მდივანი, ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თამუნა კიკილაშვილის ნაცვლად, მიეთითოს ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მარიამ ხაბეიშვილი.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

გივი გიუტაშვილი